



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვანაძე მერაბ დიმიტრის ძე

ვანაძე მერაბ დიმიტრის ძე (დ. 27. VI. 1948, თბილისი), ისტორიკოსი. ისტ. მეცნ. დოქტორი (1999), პროფესორი (2001). 1973 დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი. 1974-იდან დაიწყო პედ. მოღვაწეობა თსუ-ში. კითხულობდა საქართველოსა და რუსეთის ისტ. კურსებს. 1997-2005 იყო თსუ-ის ისტ. ფაკ-ტის დეკანი, 1995-2004 - თსუ-ის მოსამზადებელი ცენტრის დირექტორი, 1999-2005 - თსუ-ის ისტორიის ფაკ-ტის სამეცნ. საბჭოს თავ-რე, 2002-06 - რუს. ისტ. კათედრის გამგე, 2008-11 წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართ. უნ-ტის პროფესორი. ვ. იკვლევს საქართვ. და რუს. ახ. და უახლეს ისტორიას (XIX-XX სს.), ქართ. პოლიტ. აზრისა და საქართვ. პოლიტ. პარტიების ისტორიას, საქართველო-რუსეთის ურთიერთობისა და საქართვ. საგარეო-პოლიტ. ორიენტაციის ისტორიას. მან ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო საქართვ. უახლესი ისტ. (XX ს. 90-იანი წწ.) შესწავლა. ვ. არის საშ. სკოლის VII-XI კლასების საქართვ. ისტ. სახელმძღვანელოს, საქართვ. და რუს. ისტ. საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების თანაავტორი, მრავალი სამეცნ. ნაშრომის ავტორი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).

თხზ.: საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 1998; ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიის საკითხები (1892-1921), თბ., 1998; ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია (1892-1918), თბ., 1999; საქართველოს ისტორია (XX საუკუნე), თბ., 2003 (თანაავტ.); რუსეთის ისტორია (IX-X სს.), თბ., 2003.
